მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი (ადარი) 15-29 №5 (363) (5772) 2012

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲰᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲥᲜᲔᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ — ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛ ᲛᲘᲮᲐᲔᲚᲘ (ᲛᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ), ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ — ᲘᲐᲙᲝᲑ ᲛᲐᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ — ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ, ისრაელში ვიზიტი, იერუსალიმში ქართული სახლის მონახულებით დაიწყო, რომელიც 2007 წლიდან არსებობს. დ. ბაქრაძემ, იქ მოღვაწე ქართველ დედებს ღვთისმშობლის ხატი გადასცა. დედა ევგენიამ, პარლამენტის თავმჯდომარეს მათდამი თანადგომისთვის პირადად მადლობა გადაუხადა.

დავით ბაქრაძე ისრაელელ კოლეგას - რუვენ რივლინს შეხვდა.

ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში, პარლამენტის სპიკერი, ისრაელსა და საქართველოს შორის, სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხს განიხილავს. არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, სამ-ოთხ თვეში, დიპლომატიურ პირთათვის გამარტივებული სავიზო რეჟიმი ძალაში შევა, ხოლო ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის კი, სავიზო შეღავათები, შესაძლოა, წლის ბოლოს ამოქმედდეს.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში, დავით ბაქრაძე კოლეგებთან, ებრაული კომპანიების ქართულ ავიაბაზარზე შემოსვლისა და ტურისტულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილა.

ვინაიდან, დავით ბაქრაძის ოფიციალური შეხვედრების მთავარი თემა - იერუსალიმში ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების დაწყება იყო, პარლამენტის თავმჯდომარემ, პირველად, ამ საკითხზე, ისრაელის რელიგიის საკითხებში მინისტრთან - იაკობ მარგთან ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისრაელის ხელისუფლება, მთლიანად უნდა იყოს ინფორმირებული საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივასთან დაკავშირებით.

— ბუნებრივია, რომ ჯვრის მონასტერი იერუსალიმის საპატრიარქოს მფლობელობაშია და, რა თქმა უნდა, ჩვენ მათთან ძირითად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში, ისრაელის სახელმწიფო და მთავრობა იყოს ადეკვატურად ინფორმირებული და ჩართული, ვინაიდან სწორედ მათ ტერიტორიაზე მდებარეობს მონასტერი და ამ სახელმწიფოს მთავრობის პოზიციას, ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ისრაელის მთავრობა ამ პროცესს მხარს უჭერდეს. სწორედ, ამაზე ვისაუბრეთ რელიგიის საკითხებში მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე — თქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ საკუთარი კომპეტენციისა და მანდატის ფარგლებში, მზად იქნება შეეცადოს, დაგვეხმაროს, მოძებნილი იქნას ყველა მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება.

ისრაელის რელიგიის საკითხებში მინისტრმა - იაკობ მარგმა შეხვედრის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ისრაელის ხელისუფლება მზად არის, საქართველოს მოლაპარაკებების წარმართვაში და ამ საკითხის ყველა მხარისთვის სასიკეთოდ მოგვარებაში დაეხმაროს.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ჯვრის მონასტრის თემაზე ვისაუბრეთ. ეს პრობლემატური და ფრთხილი საკითხია. სავარაუდოდ, ამ საკითხზე საუბარი საქართველოს პრეზიდენტსა და ჩვენი ქვეყნის მეთაურთანაც გაიმართება. აღნიშნულ საკითხში სამი მხარეა ჩართული. ვფიქრობ, რომ ისრაელმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს, რომ მოლაპარაკებები ყველა მხარისთვის მისაღები შედეგით დასრულდეს. ჩართულია საბერძნეთის ეკლესიაც, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართულ მხარეს დავეხმაროთ — განაცხადა იაკობ მარგმა.



ისრაელში ვიზიტისას, პარლამენტის თავმჯდომარესთან, დავით ბაქრაძესთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ თოდუა და პარლამენტის წევრი არჩილ გეგენავა იმყოფებოდნენ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔᲛ ᲥᲜᲔᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარესთან შეხვედრისას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხი განიხილა. ამის შესახებ შეხვედრის დასრულების შემდეგ ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

— ბუნებრივია, ვისაუბრეთ ჯვრის მონასტერზე, იმ თემაზე, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია ამ პროცესში იქნება მნიშვნელოვანი, თუმცა ბუნებრივია ის, რომ ძირითად მოლაპარაკებას ჩვენ ვაწარმოებთ იერუსალიმის საპატრიარქოსთან — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, მხარეებმა ისაუბრეს ასევე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე და სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ. ბაქრაძის განცხადებით, შეხვედრისას საუბარი შეეხო ასევე თანამშრომლობას ისრაელის ავიაკომპანიებთან, რათა საქართველოსა და ისრაელს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა განხორციელდეს.

ბაქრაძის თქმით, უახლოეს პერიოდში საქართველოში ქნესეთის დეპუტატთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი დავით ბაქრაძე შეხვდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს ავიგდორ ლიბერმანს და ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიაჰუს.

შეხვედრებმა წარმატებით ჩაიარეს.

ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ...

მსოფლიო შესძრა საფრანგეთში, ქალაქ ტულუზაში „ალქაიდასთან“ დაკავშირებულმა მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა — ავღანეთიდან დაბრუნებულმა მუსლიმური დაჯგუფების წევრმა ტერორისტმა სიცოცხლე მოუსწრაფა ებრაული სკოლის მოსწავლეებს. სკოლიდან გამოსულთ გაუხსნა ცეცხლი – ადგილზევე დაიღუპა ოთხი ადამიანი.

5 წლის,
6 წლის,
7 წლის ბავშვები
და ერთი მოზრდილი — ორი შვილის მამა რაბინი-პედაგოგი.

ტერორისტული აქტიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ტულუზაში ჩავიდა საფრანგეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტმა სარკოზიმ მკაცრად დაგმო ტერორისტის ქმედება და სათანადო ორგანოებს დაავალა სასწრაფოდ გამოიძიონ მომხდარი დანაშაული.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ საფრანგეთს შესთავაზა დახმარება დანაშაულის გამოძიებაში.

მომხდარი ფაქტი დაგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და თეთრმა სახლმა. ევროკავშირმა კი თავისი პოლიტიკური პოზიცია ვერც ამჯერად დაფარა - კეტრინ ეშტონმა მკვლელობაზე საუბრისას ანალოგია გაავლო პალესტინელებთან, რომლებიც ისრაელს ბომბავენ.



წერილი მერვე
(ჭარბი ალიტერაციებით)

გაი(ყ)ოდენი კულაში...
აქ ვიმალები...

შოთა ბოსტანაშვილი

ფიქრები ა. საპირის „კულაშის“ წაკითხვის შემდეგ



და თუ *რატო* ვიმალები, ამას შემდეგ წერილში ვიტყვი, აქ კი იმაზე ვილაპარაკებ, თუ რატომ ვარჩიე სამალავად მაინცდამაინც ადგილი კულა***ში***. ეს ადგილი საიმედო საცავია და თავადაც დაცულია. ასეთი დაბეჯითებით *რო* ვამბობ, ამის საბაბიც მაქვს, ***სიაც*** და ***ექვსი ვერსიაც***.

ერთი ვერსიით, ერთ კაცს, სახელად მიქელას, მის მიერ დამზადებულ კოხტა კულაში (კულის ნაცვლად), რომელიც მეფეს მიართვა, ნახელავის მოწონების ნიშნად, აზნაურობაც უბოძეს და უსახელო მიწებიც, იმდენი, რამდენიც ერთ დღეში ფეხით შემოიარა. ***კულაში*** მიღებულ მიწებს ***„კულაში“*** დაერქვა.

მეორე ვერსიით, პირველი ვერსიიდან გადმოსულმა ***მიქელამ***, ან მისმა შთამომავალმა, ***უკვე მიქელაძემ***, თავადმა, კულაში ჩასხმული ღვინით დალოცა თავისი ახალი ყმები და მიწა, რომელიც მათ გამოუყო სამოსახლოდ და დასამუშავებლად. ეს ყმები ებრაელები იყვნენ, ის შვიდი ადამიანი, რომელიც დიდმა დადიანმა მიქელაძეებს აჩუქა.

მესამე ვერსია ამას წინათ ჩემი ხელიდან გამოვიდა: კულაში ვანთან ახლოა, მაგრამ ისიც ვანივით ზღვისპირა ქალაქი რომ ყოფილიყო, ზღვა ვერსად „გაიპარებოდა“, შეჩერებასაც გაუბედავდნენ და კალთაზეც გამოიბამდნენ, სხვანი თუ არა, კულაშელი ებრაელები მაინც; მაგრამ იმ დროს სად იქნებოდნენ, ან იმდენი სხვაც ვინ იქნებოდა, რომ მათი კალთები ჰყოფნოდა ზღვის შეჩერებას; ან იქნებ, საქმე იქამდე არც მისულიყო, რომ ზღვა ძალით დაეჭირათ, იქნებ, ზღვას წყალობაც მოეღო და, უკან კი არა, წინ წამოსულიყო, კულაშისთვის შემოევლო, შუაში მო***ექცია*** და კუნძულად ***ექცია***. აკი იქცა კიდეც — ყველას თავისი ***მიუ ზღ(ვ)ა*** და ***უ ზღვოდაც*** მოახერხა „კუნძულად“ ***ქცევა*** (გარდასახვა) — „პატარა იერუშალაიმს“ იქნებ, ამიტომაც ეძახდნენ.

ეს სტრიქონები ისევ იმ ტექსტის (ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“) გამოძახილია, სხვა წერილში, ვანთან დაკავშირებით რომ მოვიხმე. ის ხასიათი (სტილი, მანერა) გათამაშდა, მაგრამ სხვად (განსხვავებულ აზრად) გადაიქცა — გარდაიქმნა. უფრო თანამედროვედ რომ ვთქვათ — იმ ტექსტის დეკონსტრუქციაა.

მეოთხე ვერსია ამ წერილში დაიბადა: ***კულიდან „კულაში“*** გადმო***იქცა***, გაიშალა და ტბად იქცა. ებრაელები წყალზე დასახლდნენ და მიწად აქციეს — კუნძულად. დაცვის მიზნით და ხსოვნის ნიშნად, ტბის კონტური რაღაც განით შეინახეს, მდინარედ ***აქციეს***, დაიტოვეს ღობედ — „ლოღობი“ და „ჭურთავა“. ***იქცა კულაში ადგილად (სულ ადვილად)***, მერე სოფლად გადა***იქცა***, მერე ***დაბად დაიბადა***.., მაგრამ ჯერ უნდა შევსებულიყო, მოვარაყებულიყო სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ***ებრაელებით***, — ***უბრალო*** არ ყოფილიყო. და მაინც, ***უბრალოც*** იყო და ***ბრალეულიც*** — საშოვარზე გასვლა ***ბრალად*** ედებოდათ.., მაგრამ ეს უკვე, და ბევრი სხვაც, სხვა ვერსიებშია.

მეხუთე ვერსია წინა ვერსიებიდან დაიბადა:

... და შექმნეს ამ/ბავთა მფარველმა მალახიმებმა გალუთის მტ(ვ)რისაგან შვიდი ყმა ებრაელი, შთაბერეს მათ ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა. და იქცნენ ისინი ცოცხალ არსებებად.

შექმნეს მალახიმებმა იმავე მტვრისაგან კულა, დარგეს შიგ ბაღი და დასვეს იქ ყმები, რომლებიც შექმნეს. ბაღის დასამუშავებლად და დასაცავად დასვეს. მოათავსეს ებრაელებიანი კულა ედენში, დასავლეთით.

აღმოაცენეს მალახიმებმა კულაში ყოველი ხე წარმტაცი სახილველად და საზრდოდ კეთილი და შუაგულ ბაღში სამი ხე: ხედერი, ლოცვა და ***იეშივა***. ***ვისაც შივა*** — უთხრეს მალახიმებმა — ამ სამი ხიდან ჭამოს, დანარჩენი არ ჭამოსო... და არც უჭამიათ... სავაჭრო დახლები ამ ხელშეკრულებაში, იმ დროს, ჯერ *კიდე* არ შედიოდა, მერე დაემატა, დაემატა და დაემატა...

მდინარე გამოდის კულის ბაღის მოსარწყავად და იქიდან იყოფა ორთავად. ერთის სახელია ლოღობა (ღობეც არი და ლაღობაც), მეორესი კი — ჭურთავა (ჭურის თავთან ქეიფს გვაგონებს).

და შექმნეს მალახიმებმა იმავე მტვრისაგან ყველა სულდგმული და ყველაფერი. მიუყვანეს ისინი ყმა ებრაელებს, რათა ეხილათ, რას დაარქმევდნენ მათ, და რასაც დაარქმევდნენ ყმები ყოველ ცოცხალ არსებას, ის იქნებოდა მისი სახელი.

დაარქვეს ყმებმა და წარმოსთქვეს: ***კულაში*** ვართ და ***„კულაში“*** ერქვასო; ვინც ***კულაში*** იყო, ***„კულაშელები“*** დაირქვეს და რაც ***კულაში*** იყო, ***„კულაშური“*** დაარქვეს.

და აკურთხეს ისინი მალახიმებმა და უთხრეს მათ: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ***„კულა“***, დაიპყრეთ იგი,.. და აკი „დაიპყრეს“.

ხუთივე ვერსია ერთად მითია სხვა მითების შესახებ; ენაა, მეტაენით რომ სარგებლობს და ***„კულას“*** წარმოგვიდგენს ერთგვარ მითოლოგემად. ამიტომ მოექცა იგი ბრჭყალებში. <u>შემდგომში, პირობითად, ვათავისუფლებთ მას ბრჭყალებისაგან და ვწერთ: *კულა*.</u>

აქ მითი ***კულას*** შესახებ (იგივე სიტყვა ***კულა***) ქმნის ერთგვარ პორტალს, კარიბჭეს, პროლოგს წინამდებარე წერილისათვის.

მაშ ასე, გავიარეთ პორტალი ***კულა***, ახლა კი ***კულაში*** შევიდეთ.

მეექვსე ვერსია ბოლოა და სავსებით უნიკალური, თანაც არა ***ვერ/სია***, არამედ ნამდვილი ***სია*** და ***სიები***. ვიდრე ამ ***სიებს*** გავშლი, ერთ შენიშვნას აქვე გავაკეთებ:

კულაშის „დაბადების“ ***ექვსი ვერსია*** შესაქმისეულ ექვსდღიურსაც მოგვაგონებს, მაგრამ ეს გა/მოგონებები გადავდოთ ბოლოში (***როცა ჰხვალ***).

ამ ვერსიაში ***კულა*** უკვე ოთხკუთხედია, როგორც აღვნიშნე, სავსე სიებით. მათ შედგენაში იმ კაიკაცმა, *ახალმა მიქელამ, ახალი კულის შემქმნელმა* რამდენი ღამე ***ათია***?, ან ამ სიებში რამდენი გული ***ანთია***, აქ სხვაც ბევრია სიტყვა, და ბევრი ***სურათია***, ერთად ***ექვსასათია***. ხო, ამდენი გვერდია შიგნით. ერთი სიტყვით, ეს არის წიგნი:

აბრაამ საპირი, „კ უ ლ ა შ ი“; ნანახი, განცდილი, გაგონილი. „ალია მიგურგია“, თელ-ავივი, 2000წ.

შევიდეთ ***წიგნის „კულაშში“***. ავტორის წინასიტყვაობა: *„ამ წიგნის დაწერა ჩემი დაბადებიდან 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით განვიზრახე.* ***თავდაპირველად*** *ჩაფიქრებული მქონდა, რომ ეს ყოფილიყო მხატვრული ფორმით გადმოცემული ავტობიოგრაფიული მოთხრობა, რომელიც...“* (ხაზგასმა ჩემია — შ.ბ.)

ეჰ, სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა სამყაროს ავტორს ***თავდაპირველად***; მერე გადააფასა, არ მოეწონა და მოახდინა ***ღრმობა*** (ამ სიტყვას თორის თავსილით თარგმანში ხმარობდნენ წარღვნის აღსანიშნად). მომწონს ეს სიტყვა, მრავალპლანიან ასოციაციებს იწვევს, ცოდნას ***გვილრმავებს***. გამჩენს ახალი ცა და ახალი მიწა სურდა ***ეხილა***. ***„მეხილა“*** (***ბოდიში***), ამ ***„ბადეში“*** (წიგნის ცხრილებში, უსასრულო სიებში) მეც სიახლე უნდა ***მეხილა***. მეც ***თავდაპირველად*** სინაგოგები მაინტერესებდა ***წიგნის კულაშიდან***, ჩემი ცოდნა უნდა შემევსო, დამეზუსტებინა, ბინა მიმეჩინა ჩემს წერილში. ***თავდაპირველად*** წიგნი დავათვალიერე, მომეწონა; მერე სარჩევის დიდ და საინტერესო ნუსხას ჩავხედე, და აი, „სალოცავები — გვ. 195-197“. წავიკითხე. სალოცავების ფოტოსურათები და ტექსტები სხვა გვერდებზეც შემხვდა გაბნეულად. წიგნი ნათხოვარი მქონდა და, ბუნებრივია, ფრთხილად ვექცეოდი, ფანქრით ვინიშნავდი; სხვა შემთხვევაში მარკერით ჩამიყვითლდებოდა წიგნის გვერდები (როგორც ყოველთვის). ერთი სიტყვით, თავიდან დავიწყე კითხვა და ჩემი საძიებელი საგნის გარდა, სხვაც ბევრი დამხვდა საინტერესო. ***თავდაპირველად*** ვიფიქრე, ჩანაწერებს გავაკეთებ მეთქი, მერე — რეცენზიას; ავყევი ***წიგნის კულაშის*** მეგზურს, ყველაფერი ვნახე, ჩავინიშნე, რაღაც ნაწილი ამ წერილში მოვაქციე და ვუწოდე მას ***სეფერ-კულა***. ***ეს არის წიგნი წიგნის კულაშის შესახებ***.

ვიფიქრე, რით დავიწყო, რომელი ამბავი დავაწინაურო, და არც ვცდები, თანმიმდევრობას რომ ვარღვევ და ვიწყებ იმ უსასრულო სიებით, რომლებიც კულაშელთა საქმიანობას ასახავენ. ასე შედგა კიდევ ერთი, გაერთიანებული ცხრილი.

სეფერ-კულას ბინადარნი:

1. ექიმები — ***70*** ადამიანი; 2. ჟურნალისტები, ფიზიკოსები და იურისტები — ***13***; 3. ინჟინრები — ***85***; 4. ეკონომისტები — ***17***; 5. თეატრალები — ***13***; 6. მუსიკოსები — ***33***; 7. მკერავები — ***33***; 8. მექუდეები — ***19***; 9. „ნასილშჩიკები“ — ***16***; 10. მეჩექმეები — ***33***; 11. მეწაღეები — ***15***; 12. „მეკაჭკეები“ — ***16***; 13. ქიმიკოსები — ***2***; 14. მეფაიტონეები — ***15***; 15. მეფურნეები — ***11***; 16. დარდიმანდი ბიჭები — ***48***; 17. ყასბები — ***16***; 18. ფოსტალიონები — ***4***; 19. დალაქები — ***13***; 20. „მეჩისტეები“ — ***3***; 21. ფალავნები — ***21***; 22. „მანტიორები“ — ***7***; 23. ხელის „მეკაჭკეები“ — ***4***; 24. ექთნები — ***12***; 25. ფარმაცევტები — ***12***; 26. მედროგეები — ***4***; 27. მეწისქვილეები — ***5***; 28. მენავთეები — ***7***; 29. „პრავადნიკები“ — ***40***; 30. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — ***20*** (მათ შორის არიან მასწავლებელი, აგრონომი და გამომძიებელი); 31. წარჩინებული პირები — ***50***; 32. საკუთარი მანქანის მფლობელები — ***37***, ამათ ემატებათ ტაქსის მძღოლები — ***9***; 33. (და რაც მთავარია) ხახმები — ***58***. აქ, დამატებით, მითითებულია დაბადების და გარდაცვალების წლები და სასულიერო წოდება (ხაზანი, დარშანი, შოხეტი, მელამედი, რაბი და ***მოელი***). ***მოელი*** კაცი ერთს, საინტერესოს და დაგხვდება მრავალი სხვა, არანაკლებ საინტერესო.

როგორც აღვნიშნე, ამ, ცხრილის სახით მოცემულ სიებს, აქვთ გრაფები, სადაც მითითებულია გვარი, სახელი, მამის სახელი, ზედმეტსახელი და შენიშვნა. ნამდვილი ტაქსონომიაა; მეორეს მხრივ, პიესის, ან სულაც სპექტაკლის პროგრამას მოგვაგონებს: მოქმედი პირნი და შემსრულებლები. დიახ, ამ წიგნ-სცენარში მისივე ცხრილებიდან გადმოსული პერსონაჟები ცხოვრობენ, მოქმედებენ და მონაწილეობენ კულაშურ კოლიზიებში, ქმნიან საკუთარ შუქ-ჩრდილებს. შუქი მეტია ***წიგნის კულაშში***, ჩრდილები — ნაკლები. ისინი ქვეტექსტებში ჩასულან.

წიგნის კულაშის შინაგანაწესი (კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია) მას სამეცნიერო ჟანრის ნიშნით აღბეჭდავს; რეპორტაჟები, ანუ ინტერვიუები კულაშელებთან (წიგნში უხვად არის მოცემული) ჟურნალისტიკის ჟანრს განეკუთვნება; ეთნოგრაფიული ჩანახატები, დაწყებული ტრადიციული რიტუალებით და დამთავრებული ბავშვური თამაშობებით და ცრურწმენებით, აქ, ჟანრობრივად მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას მიეკუთვნება; შემდეგი ჟანრი აერთიანებს ავტობიოგრაფიულ და ოჯახურ ამბებს; ამას ემატება ფოტო და საგაზეთო დოკუმენტაცია, რუკები; წიგნი იწყება მოკლე ისტორიით: საქართველოში ებრაელთა მოსვლა, კულაშის ისტორია და დაბის მცხოვრებთა პატარა ისტორიები. ხედავთ, როგორი ჟანრული მრავალფეროვნებაა ან ასე: როგორ არის გახსნილი საზღვრები ჟანრებს შორის. ქვეყნებს შორის გახსნილი საზღვრებიც პირველად კულაშელებმა გადაკვეთეს, ალიის გზას დაადგნენ. უკვე ვთქვი და ისევ ვამბობ: ***წიგნის კულაშის*** ცხრილებში, როგორც სამსახიობო და საგრიმიორო ოთახებში არტისტები არიან, ისინი გამოდიან ***სცენაზე***, ელოდებიან თავის რიგს და ხელახლა გამოდიან. განმეორებათა ამ უწყვეტ ნაკადში აზარტულ მკითხველსაც რთავენ, თანამონაწილედ და თანაავტორად ***აქცევენ***.

ასეთი მკითხველი რაღაც თავისას მიაწერს ***სცენარს*** და საკუთარი წარმოსახვის ***სცენაზე***, ისეთ ***მიზანსცენებს***, სიტუაციებს, სახეებს და სახელებს აძლევს ადგილს, რაც ზედაპირზე არ ჩანდა; თუმცა, მეტი რაღა უნდა გამოჩენილიყო? ამდენი სოციოლექტები, იდიოლექტები, ამდენი ზედმეტსახელი... კულაშს ხომ თავისი „ფარყოებიც“ ჰყავს, და სხვებიც, ხუმრობით შერქმეული მეტსახელები.

სეფერ-კულელები:

ტყიური, შაბათუნა, ბეკო, ხასანია, დათიკია, ბეკეკია, ლეკვია, გიტულა, ალახა, ბატონია, ფახურა, კაკია, ყობია, ქიქია, ჩოჩია, ინჭოია, ლიკლიკო, ფამფალო, ტიპიტია, სიპიტია, ჩაჩანი, ნიმოი, წუნია, გალუთა, ცხოვრება, პეპელო, ლამაზო, ბლანჯი, ბირუ, ქვერე, ლოშადი, რიჟა, გეროი, გრუზია, ფეფია და სხვანი (ამ ბოლო ხუთ სახელს დიდვაჭრები ატარებდნენ). აქ მდიდარ-ღარიბი, კარგი და „ფინთი“, ერთია.

აქ ნამდვილი გან(ყ)ედენია, აქ სიტყვა გარდაცვალება თავისი სახით გვეცხადება. ***სეფერ-კულაში ცხოვრობენ გარდმოცვლილები*** და არა ***ცვილები*** (ცვილის ფიგურები); ისინი აქ არიან — კულაში; აქ ყველა ***კარგია კარღია*** გან(ყ)ედენში; ეს ***მათი მითია***; აქ, მითში, ღობე მორღვეულია, — მოშლილია ***აქეთელ/იქითელთა*** სამანი, აქ ***„ჰაზე“*** და ***„ჰაბა“*** (ჰ) ალბათ, ხვდებიან.

სეფერ-კულაში მუდმივი დრო დგას, და დროის ეს ასვეტილი დგომა — ***„(ყ)ამიდა“*** არის მისივე (წიგნის) შეკრული გვერდები — ***„(ყ)იმუდ“***. ასე ***იმუდმივებს*** თავს დრო-მედინი.

აი, ამ *(ყ)**ამუდზე*** (გვერდზე, სვეტში) ისევ 1956-ია, ისევ ჩამოდის ისრაელის დელეგაცია კულაშში (და უკვე კულაში)... და აჰა, კულაში ნამდვილი ***„ნესია“*** (სასწაულია); ***ნისია*** ბევრი იყო კულაშურ ვაჭრობაში — ეს სხვა *(ყ)**ამუდზეა***, და კიდევ ***სხვაზე*** — ***ზღვაზე*** არიან ცოლშვილით; ***ზღვარზე*** არიან, მაგრამ... ***ხელი ხელს ბანდა***... გადაფურცლავ და... ავი დღე ***დადგა*** — დაეცათ ***ბანდა***.., ***ანდა***, იქ, სადღაც, წაღვერიც ***ჩანდა***, ლიკანიც, შოვიც, რაღა თქმა უნდა, შვილიც და ცოლიც.

სადღაც ბრალდებებია; ***ხან ლავაა, ხან „აბლავა“***; ***ხან-ძრები და ხან ძვრები***: მართალია, თორით ხელში ***ბევრია***, ბევრიც — წითელი დროშით, სურათიდან თავს დაჰყურებთ ***ბერია***; (ჩვენში დარჩეს, სიტრახალაც* ***ბევრია***. ქალაქში კანალიზაცია არ იყო); მოხდა ისე, — გაიქურდა ლოცვები; ***იქით ქაფია***, ***აქეთ ქეიფი*** — დარდიმანდი ებრაელნი და დანიელა ურია — რა ცეცხლი და ***ალია***; ზოგიც ***თეატრალია***.

აქ, ამ *(ყ)**ამუდზე*** ხის ***ბოძებია*** (ჰალახით ***გვბოძებია***), ბოძებზე გაბმული მავთული გარს უვლის მთელ ებრაულ დასახლებას, რომ შაბათ დღეს შემთხვევით არ გასცდენოდნენ რჩეულ ადგილს. გეტო ის არი, ძალით *რო* ზღუდავენ; ნებით *რო* იზღუდებიან, ***ის „თეხომია“***; ***ისევ ომია*** იმ *(ყ)**ამუდზე***, ქერჩში ისევ ასაფლავებს გმირ ბუხაიძეს გაბრიელ შალელაშვილი, აქ ხო მრავალი კულაშელიც წევს; ისევ ის დრო დგას: ვინ ბაზარში დგას და ვინ ლოცვაში — *(ყ)**ამიდაზეა***; ამ *(ყ)**ამუდზეა*** ჯდომა: ვინ ლხინში ზის, ვინ კი — ჭირში, ვინ ფარნასაში — ქონებაში ზის; ***ვინ ციხეში***, ***ვინ „ცეხშია“***, შიშობს, რისკავს, შია.., კაბინეტში კი ***ზის ის***.., ისევ ანათებს დიდ კულაშს ქრთამი...

ამით ***მოვრჩეთ***? ***მოგვრჩა*** ბევრი, ასე მაგალითად: იხსნება ფაბრიკები, არტელები, „ღარებკომი“, „***მემსი***“; ***ნემსი*** არ ჩავარდება, ხუთიდე ლოცვა სავსეა, სავსეა „კერძო“ ლოცვებიც; ლოცვები იხსნება, ლოცვები იხურება და ისევ იხსნება; იხსენებიან მოკაიმთქმელე ***გარდაცვლილები***; ***ცვლილებებია***: რა ბაკუნია, რა ბაკაბუკი, ***რა აურაა***, ***აუუ***, ***რაა***?! რა ხმაურია ***კულაშში***, რა ექოა ***კულაში***... *არაფერი ფარული... არული კუდიანებს, კუდიანებს არული — არულ ამან! არულ ამან!*.. ამან და ამან რაღაც დათარსეს, ამან და ამან ვიღაცა იხსნეს, ამან გახსნა *ჰეხალი*, იმან — ახალი საქმე... *(ექო): საქმე... აქ მე...* აქ, მე პირი გავხსენი, ავუშვი ენა... (ცოტა გამოვტოვებ რაღაცეებს, მაგრამ რეებს?) „ფხეკიკვირეებს“ ვერ გამოვტოვებ: გესმით? რა ***ჯაზია***, ***აზიან*** ერთმანეთს „საკრავები“ — დანა-ჩანგალთა, ტაფა-ქვაბების, ***ბის***! ***ბის***!

ახლა ფესახები?! — ეს სახეები, ცისკენ მიმართული, ქვევიდან მომართული სანთლის შუქზე და „ღამის წყვდიადში ჩაფლული“ ნათელი ლაქები: ნიკაპქვეშა, ტუჩქვეშა, ცხვირქვეშა, ქუთუთოებქვეშა, წარბებქვეშა, მოციმციმე შუქთა სიმრავლე — ***ლაქები***.., (ან უკვე ***ნაქები***).

ეს სურათები ბევრჯერ აღბეჭდილა ჩემში; თავადაც ვყოფილვარ ამ სცენებში (ამ ენებში ახლაც ვარ), მხოლოდ თბილისში, სადაც ეს სურათები მცირდებიან დიდი ქალაქის ფონზე, იფანტებიან, იკარგებიან სხვა სურათებში. ***სეფერ-კულა*** ერთი სურათის ჩარჩოა, ან ასე: ამ ჩარჩოში ერთი ხელწერის სურათებია. ***ქალაქი-ჩარჩო***, სადაც აბსოლუტურ უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ (1969 წლისათვის 10 000 ადამიანი), ტოტალური მისტერიების სურათებს წარმოგვიდგენს. ამ სურათებს არც „*ოპარტ*“-ი აკლია, არც „*პოპარტ*“-ი, არც „*დადა*“ არც „*სიუ*“, რეალიზმით და ურ***ი***ა/ლიზმოთ — სოციალისტური კულაში კაპიტალისტური შინაარსით. აქ „შეუთავსებელთა შეთავსების“ პიონერები ცხოვრობენ, ნუ დავუკარგავთ ამ პირველობას პოსტმოდერნიზმის და ინტერაქტიური თეატრის ადეპტებს, რაღა თქმა უნდა, გაუცნობიერებელ და დღეგრძელ აქციას, ახლა კი ასე დანახულს, ასე წაკითხულს, ასე დაწერილს. ***კულა*** თეატრია, ***კულაში*** სცენაა — სც/ენა. ამ სც/ენაზე ბევრი იყო ***ავარიაც***... ახლა, რაც ***მთავარია***:

„ჯვარცხმის მინდორი სავსე იყო ხოლმე შაბათობით კულაშელი ებრაელი ოჯახებით. ჭილოფები გაჰქონდათ, მას გააგებდნენ და სხდებოდნენ. იყო მშვენიერი ჰაერი და ჩრდილი — დიდი, ასწლოვანი მუხის ხეების ტოტებ ქვეშ.“ (შათია მიხელაშვილი, ა. საპირის წიგნიდან „კულაში“, გვ. 94). და ერთიც:

„— ეწყობოდა ხოლმე გულაობა. პირველად გულაობა ელუაღამეობით ეწყობოდა ხოლმე, ზეით ბაზრის იქეთ, სტალინის ქუჩაზე, ხახამ არონის სახლის წინ, მერე მან იმავე ქუჩაზე, ცოტა იქით გადაიწია, ტყიურები რომ ცხოვრობდნენ იქეთ, აქ ტრაგიკული შემთხვევა მოხდა, გულაობის დროს ტარზანას და მოკლა მანქანამ და ამის გამო ამ ადგილას გულაობა აიკრძალა. შემდეგ ის აბუაშვილების ქუჩაზე ეწყობოდა. რაბი ხახამ აბრაამ მიხელაშვილის გადაბრძანების შემდეგ ის ლენინის ქუჩაზე, ხონისკენ მიმავალ გზაზე იმართებოდა ახალი სახლების წინ. ერთი პერიოდი გულაობა სასოფლო საბჭოსა და საექიმო უბნის წინაც იმართებოდა. ახალგაზრდები გამოდიოდნენ და ქუჩაში აქეთ-იქეთ სეირნობდნენ. ამას ერქვა გულაობა. მასში რამდენიმე ასეული ადამიანი იღებდა მონაწილეობას. გულაობის დროს ხდებოდა ხოლმე დასანიშნი გოგო-ბიჭების „გადანახულება“. (მოშე შალელაშვილი, ა. საპირის წიგნიდან „კულაში“, გვ. 110).



ისმინეთ ისრაელებო! *კულაში* ქაშერი ასხია, მიიღეთ ალავერდი: დაწერეთ „ვანი“ — ბანი მიეცით ა.საპირის „კულაშს“; დაწერეთ „ცხინვალი“ — ვალი შესრულდეს, მიცვა; დაწერეთ „აწყური“ — ყური უგდეთ წარსულს; დაწერეთ „ახალციხე“ — ხე დარგეთ; დაწერეთ „ბანძა“ — ანძა დადგით, ხაზები გააბით, დაიწყეთ რეპორტაჟი... ტაში, ყველას ტაში, ვინც ჩაინერგავს ამ მიცვას, მიცვალებულთა სახელით. ეჰე, ჰეე..! ჩამოართვით ალავერდი „კულაშს“, ხედავთ, როგორ იგრეხს ულვაშს... მოყევით, ჩაიწერეთ, ვიდრე გახსოვთ, შექმენით ასეთი სამსახური, ეს გამჩენის სამსახურია; აქაც იყიდეთ ფასუკი, ფასი დაადეთ მუდამ/სულ წარსულ სულს, დააფასეთ და დააფასოვეთ, ტექსტად აქციეთ, წიგნად.

გაჯილდოვებთ (ყ)ოლამაბა, აბა!

როცა ჰხვალ!
(დამატებები)

კულაშის დაბადების ექვსი ვერსია შესაქმისეულ ექვსდღიურსაც მოგვაგონებს, და არა მარტო რიცხვით „ექვსი“, არამედ იმითაც, ან უფრო იმით, რომ თავად კულა — მიწისგან (თიხისგან) გაკეთებული ჭურჭელი — თავისი კვერცხის ფორმის შემოსაზღვრულობით — ***ღობით*** და ***ღიობით*** — ვიწრო პირით, იმ მიწასაც მოგვაგონებს, იმ ბაღს, რომელიც შემოსაზღვრა უფალმა ედემში, აღმოსავლეთით; კულის პირი იმ კარიბჭეს მოგვაგონებს, საიდანაც უფალმა გამოაძევა, „გამოჩეკა“ კაცი და დედაკაცი. ამ ნიშნით, კულა სამყაროს წიაღია — საშოა, შორს, საშოვარზე „გამოგდებული“ ადამიანისათვის. ჰო, დაშორდა ადამიანი თავისი დაბადების ადგილს — თავის კულას — ასეულობით ვერსი(ი)თ; ვერც სიით (ისტორიით) აგნებს საგნებს, რომ ხელახლა დაასახელოს, ხელახლა ამოიცნოს ადამივით „ისტორიის დასასრულის უკანასკნელმა ადამიანმა“ (ფ. ფუკუიამა). ამავე მეტაფორით (უფრო მეტად კი ფორმით) კულა შემორაგულია; აქ, ბაღი რგულია, კაცი კი ერთგულია. უკანასკნელ ადამიანს გული თუ იქაც დარჩა და აქაც უძგერს, ის კარგი ორგულია; თუ ის ბაღი არის ხსოვნა — დაღი; თუ ამ დღეებში ის დროა გაჩერებული — დამდორებული, დამდურებული არ უნდა იყოს კაცი. ეს კაცი „მუდამ უკვე“ პოეტია.

ჰორიზონტზე გადავიდეთ, დავბრუნდეთ მიწაზე. კულა არქეტიპია, პარადიგმაა, და აი რის.., ალბათ, პირველი მიწის, და პირველი ცის. აქ არ არის ზევით/ქვევით; დიახ, „მუდამ უკვე“ არ არის. აქ ცა და მიწა ადგილებს სულ იცვლიან აქეთ-იქით და ეს აქეთ-იქითობა კიდევ უფრო აფართოებს კულის კონოტაციურ ველს, სადაც ***კულა/პლანეტას*** თავისი ორბიტა აქვს, თავისი გრავიტაცია; და როცა კულაში კაცია?.. (აქ უკვე ახალ აბზაცზე გადავიდეთ).

ისრაელის მიწაზე, ისრაელის მიწით შექმნილი, ბევრი კულა ვნახე; დიდი კულები ვნახე, ზედაპირზე ადამიანის გამოსახულებით, ნახატით. ამ კულებში მიცვალებულებს ჩაასვენებდნენ და მარხავდნენ. ისე, საკითხავია, როგორღა იქცევა მიწადმოსული მიწად? აქ, როგორც ჩანს, სხვა დროის და სხვათა ტრადიციებია. წარმოვიდგინე, სურათად „მიცვალებული კულაში“, ფეხებმოკეცილი (კულა დაბალია), ბიოლოგიის წიგნი გამახსენდა — ემბრიონი ***დედაში***. ***დედანში*** — სამყაროს სხეულში კიდევ მრავალი პარადიგმაა (სინტაგმების ნაკადიც წარმომიდგა, მაგრამ აქ ამის ადგილი არ არის). ტექსტიც სხეულია და მის განსივრცებულ ვერ/სიებში ***კულა*** ისევე პოულობს თავის ადგილს.

კულა დიდი *(ყ)**ოლამის ლამის*** (თითქმის) ერთი მისხალია, ერთი ***დილიმია*** და ერთი ***დილემა***.

ან ასე: კულა დიდი *(ყ)**ოლამის ლამის*** (ტალახის, თიხის) ერთი მისხალია, ერთი დილიმია და ერთი დილემა... დილაც გათენდა, შემომათენდა, დანარჩენი ხვალ, ან როცა ჰხვალ...

ყოფნა გვემალება

მერვე წერილი მერვე დღესავით არის. ის შვიდობითი რიტმის პირველი ციკლის დასასრულია და ამავე დროს ხელახალი პირველია, პირველის განმეორება. ამავე დროს, მერვე ურვის დღეა, — დასასრულ/დასაწყისის ბუნდოვანი დრო, ღრიჭო, ხარვეზი. სავარაუდოდ, ამ ღრიჭოს ***გავლით*** გამოაძევა უფალმა ადამი ედემიდან. ამ ***გავლის გავლენა*** ყოველ მერვეშია, ყოველ მერვეში ღრიჭოა, ყოველ მერვეში მეორდება: ადამ, სადა ხარ?! ყოველ მერვეში **შეშინებული**, **დამალული**, **შიშველი** მეძალება — ***მერევა, და მერევა... მერ(ვ)ე ვარ...***

18.03.12.

რედაქციისაგან: შ. ბოსტანაშვილის მიერ ამ წერილში დასმული საკითხი მნიშვნელოვნად გვესახება: ქართველ ებრაელთა საცხოვრებელი დაბა-ქალაქების წარმავალი სამყარო ისე არ უნდა გაგვეცალოს, რომ შთამომავლობას არ დავუტოვოთ წარსულის სურათები. თავისი ა. საპირი სჭირდება ცხინვალს, სურამს, ახალციხეს, ბანძას... ეს კი თქვენი გასაკეთებელი საქმეა, ძვირფასო მკითხველო!

„ხესედ ელიაჰუ“ 15 წლისაა

სიტყვა „ხესედი“ ქართულად გულმოწყალებას ნიშნავს. სწორედ, ამ პრინციპით ხელმძღვანელობს 1997 წელს გახსნილი ორგანიზაცია „ხესედ ელიაჰუ“, რომლის მთავარი მიზანი, სწორედ, რომ ხალხის — გაჭირვებული ადამიანების დახმარებაა. როგორც „ხესედის“ ამჟამინდელი დირექტორი ბატონი რევაზ შათაშვილი ამბობს — იციან, რომ ხალხს უჭირს, ბევრი პრობლემა აქვს და რაც შეუძლიათ, მათ დასახმარებლად ყველაფერს აკეთებენ.

„არ ვიცი არსებობს კი სიტყვა, რომლითაც შეიძლება ის გრძნობა გამოვთქვა, რომელსაც ჩვენ თქვენი ორგანიზაციის მიმართ განვიცდით. გარდა იმისა, რომ თქვენი ორგანიზაცია უკვე ამდენი წელია ცხოვრების საშუალებას გვაძლევს, ისიც უნდა ითქვას, რომ თანამშრომლების ჩვენდამი დამოკიდებულება, სამაგალითოა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს ადამიანი ადამიანს, რომ მისი ცხოვრება უკეთესი გახადოს“.

„ძალიან მინდა გადმოგცეთ ჩემი ფიქრები, რომლებიც გულიდან მოდიან, მადლიერების სიტყვები, რომლებიც სულს ავსებენ, მთელი იმ სიკეთისათვის, თბილი ზრუნვისთვის, რომელსაც ყოველ დღე ჩემს „თბილ სახლში“ ვგრძნობ. დიახ, სწორედ, რომ „თბილ სახლში“. მეუბნებიან: ემა, შენ ბედნიერი ხარ, ორი სახლი გაქვს, შენ მდიდარი ხარ“, დიახ, მე მდიდარი და ბედნიერი ვარ იმით, რომ ასეთ კოლექტივთან მაქვს ურთიერთობა.“

„არ შემიძლია არ გამოვთქვა მადლიერება „ხესედის“ მთელი ხელმძღვანელობისა და თანამშრომლებისადმი. თქვენი მატერიალური დახმარება ამავე დროს მორალური დახმარებაცაა, რაც იმის დასტურია, რომ დედამიწაზე არსებობს ხალხი, რომელიც სიკეთეს ყველანაირი ანგარების გარეშე სჩადის“.

ეს არის ამონარიდები იმ სამადლობელო წერილებიდან, რომელსაც „ხესედ ელიაჰუ“ მუდმივად იღებს. წერილებს ავტორები არ მივუთითეთ, რადგან სახელსა და გვარს არ აქვს მნიშვნელობა, ყველა სამეურვეო პირი „ხესედ ალიაჰუს“ მიმართ მადლიერებასა და პატივისცემას განიცდის. აქ ისინი ღებულობენ იმ სითბოსა და ზრუნვას, რაც ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში აკლიათ.

რევაზ შათაშვილი უკვე 10 წელია „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორია, ამბობს რომ საქმე, პრობლემა ბევრია და მთელი კოლექტივი ყველანაირად ცდილობს მათ მოგვარებას. მთელი მომსახურება პროგრამებადაა დაყოფილი, რომელთა შესახებ ბატონი რევაზი თავად გვესაუბრება.

რევაზ შათაშვილი: ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა „მენორას“ კორესპონდენტთან საუბარი, რადგან მთელი 15 წლის განმავლობაში „მენორას“ „ხესედის“ მუშაობა დადებითად არაერთხელ გაუშუქებია. მინდა მოგახსენოთ, რომ 6 მარტს გადავიხადეთ „ხესედ ელიაჰუს“ 15 წლის იუბილე. 15 წელი ეს ბევრიცაა და ცოტაც, მაგრამ ჩვენ რომ

გადავხედოთ თუ რამდენ ადამიანს დაეხმარა და მხარში დაუდგა „ხესედი“ ძალიან დიდ რიცხვს მივიღებთ. მე მოგაწვდით ციფრებს ამ 15 წლის განმავლობაში „ხესედ ელიაჰუში“ რამდენი ადამიანი იყო აღრიცხვაზე. რა გავაკეთეთ და რას ვაკეთებთ ამჟამად. გადახედეთ სტატისტიკას და ნახავთ ხალხის დასახმარებლად რამხელა სამუშაოა ჩატარებული. არ დავივიწყოთ, რომ 1997 წელს, როდესაც „ხესედი“ გაიხსნა საქართველოში რა მდგომარეობა იყო — ეკონომიკა ჩამოშლილი, უგაზობა, უშუქობა, ყაჩაღობა. ჩვენ ეს პერიოდი გადავლახეთ. სწორედ, მაშინ გამოჩნდა თუ რისი გაკეთება შეუძლია „ხესედს“ ხალხისთვის. ძალიან ბევრი მარტო დარჩა. არ ჰქონდათ საშუალება ეყიდათ საკვები, ტანისამოსი. დღეს საქართველოში შედარებით უკეთესი პირობებია. ეკონომიკა განვითარდა და მთავრობა ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად ყველაფერს აკეთებს. თუმცა მაინც რჩება ხალხის ის ფენა, რომელსაც ეკონომიურად უჭირს და მათ შორის ებრაელებიც არიან. ასეთ მდგომარეობაში ძირითადად ხანდაზმული ხალხია. მართალია, საქართველოში პენსია იზრდება, მაგრამ ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მაინც არ არის საკმარისი.

— ბატონო რეზო, რა პროგრამები მუშაობს „ხესედ ელიაჰუში“?

— ჩვენთან კვლავ მუშაობს ცხრა პროგრამა. ძირითადია კვების პროგრამა, რომელშიც ასევე შედის პროგრამა მაღაზია, თუმცა სულ მალე იგი დასრულდება და საბანკო ბარათების სისტემაზე გადავალთ, რაც ჩვენი სამეურვეო პირებისათვის უფრო მოსახერხებელი იქნება. მათთვის განკუთვნილი იქნება 10-12 მაღაზია თბილისში, სადაც შესვლა და საჭირო პროდუქტების შეძენა შეეძლებათ. ისევ რჩება ცხელი კვება ბინაზე მიტანით. აღრიცხვაზე 40 ადამიანი გვყავს, რომლებიც სახლიდან პრაქტიკულად ვერ გამოდიან, მათთვის საკვების მომზადებაც დიდ სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ ყოველ დღე ბინაზე ცხელ სადილს ვაწვდით. კიდევ ერთი პროგრამაა ბინაზე მოვლა. დღესდღეობით მას „ხესედის“ პროგრამებში ყველაზე დიდ ადგილი უჭირავს, ამ პროგრამაში აღრიცხვაზეა 125 ადამიანი, რომელთაც 38-მდე ქალბატონი ემსახურება. ისინი უზარმაზარ სამუშაოს ასრულებენ. წარმოიდგინეთ, 125 ადამიანი ყოველდღე ელოდება, თუ როდის მივლენ მათთან და მოემსახურებიან. ძირითადად, ესენი არიან მარტოხელები, ან ისინი, რომლებსაც სიარული არ შეუძლიათ. ასეთი ტიპის სამსახური საქართველოში არ არსებობს. „ხესედის“ იუბილეზე სწორედ ეს აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თამარ მახარაშვილმა.

ასევე გვაქვს სამედიცინო პროგრამა. „ხესედს“ არ აქვს უფლება, შენობაში სამედიცინო კონსულტაციები ჩაატაროს, მხოლოდ შეგვიძლია ვურჩიოთ, ვის მიმართონ, და რა გამოკვლევები ჩაიტარონ, შემდეგ შეძლებისდაგვარად მკურნალობაშიც დავეხმარებით. ასევე ფუნქციონირებს პროგრამა აფთიაქი, რომლიდანაც 500 სამეურვეო პირი ყოველთვიურად უფასო მედიკამენტებს ღებულობს. ეს მათთვის დიდი შეღავათია.

შემდეგია უნიკალური პროგრამა — „დღის ცენტრი“. წარმოიდგინეთ, ხალხისთვის, რომლებსაც მოძრაობაში შეზღუდვა აქვთ, რამდენს ნიშნავს, რომ კვირაში ერთ დღეს ჩვენთან ატარებენ. აქ დაკავებულები არის ხელსაქმით, ფუნქციონირებს მუსიკალური და კინო პროგრამები, დაბადების დღეებისა და ებრაული დღესასწაულების აღნიშვნა. ამ პროგრამაში ჩართულია 60 ადამიანი. 12 ადამიანი დღეში. დამერწმუნეთ, კვირის ის ერთი დღე, როდესაც აქ მოდიან, მათთვის დიდი ზეიმია. უხანგრძლივებს ცხოვრებას და დიდ ძალასა და ენერგიას აძლევს.

გვაქვს სამედიცინო დანიშნულების უნიკალური ინვენტარის გაქირავების პრაქტიკა, რაც ხალხს სხვადასხვა დაავადების რეაბილიტაციაში ეხმარება.

შემდეგი პროგრამაა „მოკედი“. მოხალისეები — ჩვენი სამეურვეო პირები, თავიანთ მეგობრებს სხვადასხვა საქმეში უანგაროდ ეხმარებიან, არიან დურგლები, ელექტროშემკეთებლები, დალაქები, მეწაღეები. მოქმედებს პრინციპი — ერთი ეხმარება მეორეს, რაც „ხესედის“ გახნის პირველივე დღიდან ძალიან კარგად მუშაობს.

გვაქვს კურატორების პროგრამა. 4 კურატორს ქალაქი 4 ნაწილად აქვთ გაყოფილი. ეს სამსახური დიდ საქმეს აკეთებს, რადგან ჩვენ გვაქვს საშუალება, ზუსტად ვიცოდეთ ვის რა პრობლემა აწუხებს და სათანადო დამხარებაც აღმოვუჩინოთ. ეს არის შემაერთებელი რგოლი ჩვენსა და ხალხს შორის.

მატერიალური პროგრამით ბავშვებსაც ვეხმარებით. ჩვენთან აღრიცხვაზე 671 ბავშვია. ბავშვები ღებულობენ სასურსათო ამანათებს, მედიკამენტებს, ბავშვთა საკვებ პროდუქტებს, პამპერსებს და ა.შ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს პროგრამა SoS. ამ პროგრამით ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ყველას, ვისაც სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემა აქვს. ვეხმარებით სამედიცინო მკურნალობაში, ოპერაციის თანხის გადახდაში, ბინების რემონტის გაკეთებაში და ა.შ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ „ხესედში“ აღრიცხვაზე მყოფ ყველა ადამიანს ელექტროენერგიის თანხა გადავუხადეთ. ეს დახმარება იმდე-

ნად დიდი იყო, რომ ყველას შეეძლო ზამთარში სითბო ჰქონოდა. ყველა ოჯახმა 457 ლარი მიიღო, ნაციზმის მსხვერპლმა 60-მა ადამიანმა კი — 1136 ლარი. ფაქტიურად, ჩვენ მათ სითბოსა და კომფორტის პრობლემა გადავუწყვიტეთ.

— ბატონო რეზო, 6 მარტს „ხესედ ელიაჰუს“ 15 წლის იუბილე აღნიშნეთ...

— ეს იყო დიდი ზეიმი. საღამო ძალიან კარგად ჩატარდა, ესწრებოდნენ თემის წევრები, ორივე სალოცავის წარმომადგენლები, თემის ინტელიგენცია და ჩვენი სამეურვეო პირები. არ შეიძლება არ აღვნიშნო ქალბატონი ნათელა პატარკაციშვილი, რომელიც „ხესედ ელიაჰუს“ და მის სამეურვეო პირებს მუდმივად გვერდში უდგას. იერუსალიმის „ჯოინთიდან“ ჩამოსული იყო იცხაკ ავერბუხი, რომელიც საქართველოს კურირებს. მივიღეთ ბევრი სამახსოვრო საჩუქარი, თბილი სიტყვები — მათ შორის ჩვენი სამეურვეო პირებისაგან. გავაკეთეთ სლაიდ შოუ, რომელშიც „ხესედის“ მთელი 15 წლის ცხოვრება იყო ასახული. ასევე გამოიცა ბუკლეტი, რომელშიც ჩვენი პროგრამების შესახებაა საუბარი. მსგავსი საღამოები, „ხესედ ელიაჰუს“ თანამშრომლებს გვაძლევს ენერგიას და საჭირო ძალას, რომ ჩვენი საქმიანობა გავაგრძელოთ. აქ მუშაობა რთულია, ბევრ გადაუჭრელ საკითხს ვხვდებით. ასეთი საღამოები, ასეთი გამოსვლები და თბილი სიტყვები კი ენერგიით გვავსებს.

ეს წელი ებრაული სახლის შენობისთვისაც ძალიან კარგი იქნება, უკვე გამოვცვალეთ ლიფტი და სარემონტო სამუშაოებსაც ვიწყებთ. ივლის-აგვისტოში მოხდება შიდა ინტერიერის შეცვლა, დიდი გეგმები გვაქვს და იმედია ჩვენი სახლი კიდევ უფრო გალამაზდება და გაბრწყინდება. აღსანიშნავია, რომ ყველა სარემონტო სამუშაო „ჯოინთის“ დაფინანსებით მიმდინარეობს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

„მენორა“ ულოცავს „ხესედ ელიაჰუს“ 15 წლის იუბილეს და უსურვებს წარმატებას ყველა იმ კეთილ საქმეში, რასაც მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში აკეთებდა.

ნინო შავაძე

მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

ძვირფასო მეგობრებო,

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მილოცვა თბილისის „ხესედის“ 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით. განუზომელი და შეუფასებელია „ხესედ ელიაჰუს“ კეთილი საქმეები ექიმ რევაზ შათაშვილისა და მისი გუნდის ხელმძღვანელობით.

ჩვენი, ებრაული ტრადიცია გვასწავლის, რომ სამყაროსა და ყოველ ადამიანში კეთილი და ბოროტი იბრძვის. ყოველი კეთილი ქმედება კი გაცილებით წონადი და ყოვლისმომცველია, ვიდრე ბოროტი. ერთი წამით წარმოვიდგინოთ გასული წლების მანძილზე „ხესედის“ მიერ გაკეთებული ყველა კეთილი საქმე. არა მხოლოდ ცხელი სადილის მიწოდება ჩვენი დებისა და ძმებისათვის თბილისში. ყოველი კერძი ეს უკვე „მიცვა“ იყო. „ხესედის“ დაარსებიდან დღემდე, მრავალი წლის მანძილზე, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ასეთი მადლიანი საქმეა გაკეთებული.

„ხესედის“ საქმიანობა მხოლოდ სასადილოებით არ შემოიფარგლება. მოხუცთა კლუბი, მარტოხელა თუ საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფების მონახულება, მათი ხელშეწყობა და ყველა სხვა კეთილი საქმე არა მხოლოდ „მიცვების“ დიდი ოდენობაა, არამედ „ხესედში“ მომუშავე ყველა ღირსეული ადამიანის საამაყო ჯილდოცაა. მათ შორის არიან — სასადილოს ხელმძღვანელი, დამხმარე პერსონალი, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ღმერთისგან დალოცვილი საქმეების კეთებას.

ყველამ უნდა იცოდეთ, რომ წმინდა საქმეს ემსახურებით და მადლიერნი იყავით უფლისა, რომ შეგიძლიათ დაეხმაროთ ამდენ ებრაელს და იამაყოთ წლების მანძილზე გაწეული ღვაწლით.

გლოცავთ წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან, უფალი შეეწიოს თქვენს წმინდა საქმიანობას, ღმერთმა დაგლოცოთ ამჟამინდელი და მომავალი კეთილი საქმეებისათვის.

მადლიერი და ამაყი ვარ, არაჩვეულებრივ პიროვნებასთან ექიმ რევაზ შათაშვილთან და ყველა იმ ადამიანთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა, ვისაც წვლილი შეაქვს „ხესედის“ საქმიანობაში.

სტენლი აბრამოვიჩი

თბილისის ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს, ბ-ნ რევაზ შათაშვილს და მისდამი დაქვემდებარებულ კოლექტივს

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელობა მთელი სულითა და გულით უერთდება თბილისის ებრაულ სათემო სახლში შექმნილ საზეიმო განწყობილებას. დიდი სიხარულითა და სიამაყით ვულოცავთ დაარსებიდან 15 წლისთავს „ხესედ ელიაჰუს“ — ორგანიზაციას, რომელიც ასე ქმედითად და ხელშესახებად წარმოაჩენს ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებისათვის მოღვაწეობას და მოყვასისადმი თანადგომის საუკეთესო ნიმუშს და თვალნათლივ ასახავს იმ კეთილშობილ მიზნებს, რომლებსაც ემსახურება ამერიკელ ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი საზოგადოება „ჯოინთის“ მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება „ხესედების“ სახით.

ნამდვილად ქებას იმსახურებს ის გზა, რომელიც „ხესედ ელიაჰუმ“ გაიარა დაარსებიდან — დღემდე. გზა, რომელიც ებრაული ტრადიციების პრინციპებით ხელმძღვანელობს. ამ ტრადიციებში ხომ ჩვენი ხალხის გაჩენის საიდუმლოა ჩადებული. გონივრულად შედგენილი და მთელი კოლექტივის მიერ აქტიურად რეალიზებული პროექტების წყალობით. 15 წლის „ხესედ ელიაჰუ“ ერთ-ერთ გამორჩეულ და სამაგალითო ორგანიზაციად იქცა მსოფლიოს „ხესედების“ ქსელში. და ასეთი რამ ადვილი მისაღწევი როდია. ერთსულოვნად მივესალმებით თქვენს სამაგალითო შემართებას! სულ წინ-წინ გევლოთ საქართველოს ებრაული თემის სიყვარულით, ისრაელის სიყვარულით, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის დამყარების სულისკვეთებით!

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

გაბრიელ მირილაშვილი

სემკ-ის პრეზიდენტი

1997 - 2012 წლებში „ხესედ ელიაჰუში“ აღრიცხვაზე იყო 3872 ადამიანი.

პროგრამის ჩათვლით გაწეული იყო შემდეგი სახის მომსახურება:

კვების პროგრამა: სასურსათო ამანათი — 224 354;
სადილი სასადილოში — 574 275;
სადილი ბორბლებზე — 299 000;
სულ — 1, 097 620 მომსახურება.
„პატრონაჟი“ — 1751 საათი.
მედიკამენტები — 164 781.
სამედიცინო კონსულტაცია — 41 166.
SOS — 1921 მომსახურება.

1997 - 2012 წლებში — ბავშვთა პროგრამები 903.
ბავშვთა პროგრამა 2012 წელს — 671.
პროდუქტები — 21 934;
მედიკამენტები — 4 566.

2012 წელს „ხესედ ელიაჰუში“ აღრიცხვაზეა 1341 ადამიანი.

პროგრამების მიხედვით გაწეული იყო შემდეგი სახის მომსახურება:

სასურსათო ამანათები — 1297;
სადილი ბორბლებზე — 38;
სულ — 1335 მომსახურება.
„პატრონაჟი“ — 512 882 საათი.
მედიკამენტები — 2073.
სამედიცინო კონსულტაციები — 119
SOS — 19 მომსახურება
ბავშვთა პროგრამები 2012 წ. — 671
პროდუქტები — 520;
მედიკამენტები — 68.

6 მარტს ებრაულ სახლში „ხესედ ელიაჰუს“ 15 წლის იუბილე აღნიშნეს. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: ებრაული სახლის სათემო და რელიგიური ღონისძიებების ხელძღვანელი ზაირა დავარაშვილი, „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორი რევაზ შათაშვილი, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლატი, იერუსალიმის „ჯოინთის“ წარმომადგენელი იცხაკ ავერბუხი, „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში ზოჰარ დავიდი, ებრაული სააგენტოს საქართველოში წარმომადგენლობის დირექტორი ავი ოფირი, „ჯოინთის“ პირველი წარმომადგენელი საქართველოში მენახემ ელაზარი, „ჯოინთის“ ყოფილი წარმომადგენელი კავკასიაში მეირ ზიზოვი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი, ხაბადის წარმომადგენელი მეირ კოზლოვსკი, რაფაელ მესენგისერი, სახელმწიფოს ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ მახარაშვილი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, გურამ პაატაშვილი, გივი წიწუაშვილი, „სოხნუთის“ კოორდინატორი გორში ბესო მანაშეროვი, გორის „ხესედის“ დირექტორი თეონა მაღალაშვილი, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი ლენა ბერკოვიჩი, ჯამლეტ ხუხაშვილი, ზინაიდა კრიხელი, სოფა ისკოვიჩი.

აჩვენეს ვიდეო რგოლი, რომელიც ასახავდა „ხესედ ელიაჰუს“ ცხოვრებას მთელი მისი არსებობის — 15 წლის განმავლობაში.

სიყვარულის შვილები, ანუ რა დაიწყო კაცების ძეთა ქვეყანაში?

გურამ გათიაშვილი

ეს წერილი როსტომ ჩხეიძის ჩინებულმა ესსემ — „ცრემლი და ლოდი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 65, 23 დეკემბერი, 2011წ.) მიკარნახა. სწორედ ამ ლიტერატურულმა კვლევამ გამიჩინა სურვილი ჩავყოლოდი კრიტიკოსის ესსეში შორეული წარსულის რეალობიდან გამოხმობილ ადამიანთა ბედს, მოვლენების განვითარებას და დამეწერა იმაზე, რაზეც როსტომ ჩხეიძემ მიანიშნა კიდეც, მაგრამ კვლევა სხვა, მისთვის ამჯერად საინტერესო მიმართულებით განეგრძო. დამეწერა იმაზე, რასაც ძველი აღთქმა იაკობის სულში წარმოქმნილი გრძნობის მეოხებით ჩაგვაგონებს, გვასწავლის. ძველ აღთქმაში, ხომ არა მხოლოდ მოვლენები, მათი განვითარების გზები, ადამიანების ბედი, ერთი სიტყვაც არ არის შემთხვევითი. აქ ყველაფერი გააზრებულია და სათავის დამდები.

იმდენად რამდენადაც ციტატების მოხმობა არაერთგზის დამჭირდება, მინდა მკითხველს ამთავითვე შევუთანხმდე: ვისარგებლებ „თანახის“ (ასე უწოდებენ ებრაელები ძველი აღთქმის წიგნებს) თანამედროვე თარგმანით. იგი ისრაელში გამოიცა ამ თხუთმეტი წლის წინათ. თარგმანი შესრულებულია შალომ დავიდის (დავითაშვილის) მიერ. იგი გახლავთ ქართულ ენაზე არა მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეულის, წინასწარმეტყველთა წიგნების, დავით მეფის საგალობლებისა („თეილიმ“) და სხვათა და სხვათა დიდებული მთარგმნელი.

როსტომ ჩხეიძის ესსეში მოხმობილი ციტატები რომ წავიკითხე, თავი უხერხულად ვიგრძენი — რატომ დროულად არ ვიზრუნე იმისათვის, რომ მას შალომ დავიდის თანამედროვე ქართულით თარგმნილი „თანახი“ ჰქონოდა-მეთქი, ასე სჯობდა: თანამედროვე ქართველი მკითხველი ახალი თარგმანებით უფრო დაიახლოებს ამ გენიალურ წიგნს.

ებრაელები „თანახს“ მთელი წლის განმავლობაში კითხულობენ. წიგნი დაყოფილია საკვირაო თავებად. მისი კითხვა იწყება ებრაული ახალი წლის (როშ ჰა შანა) განკითხვის დღის, კარვობის დღესასწაულის შემდეგ და მთავრდება მომავალი როშ ჰა შანისათვის.

ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ჩემი ვარაუდით, როსტომ ჩხეიძე ესსეს — „ცრემლი და ლოდი“ სწორედ იმ კვირაში წერდა, როცა იუდეველნი იაკობისა და რახელის ამბავს — „ვაიცე“ კითხულობენ. ამ პასაჟში როსტომ ჩხეიძემ პირველი ნახვით შეყვარების თემა წამოსწია, თუმცა, არც ლაბანის ბუნებას აუარა გვერდი. პირველი ნახვით შეყვარების იდეის განსამტკიცებლად შოპენჰაუერსა და სხვა დიდ ავტორიტეტებსაც იშველიებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეწევა საინტერესო ლიტერატურულ კვლევას, დაძებნის პარალელებს იმისა, „თანახის“ ეს პასაჟი („ეამბორა იაკობი რახელს, აიმაღლა ხმა და აქვითინდა“), თუ როგორ წარმოჩინდა და განივრცო მსოფლიო ლიტერატურაში, სწორედ ამ სწორუპოვარ წიგნში იღებს სათავეს პირველი დანახვისთანავე სიყვარულის — ამ უკეთილშობილესი, ადამიანში სიკეთის დამამკვიდრებელი და სულიერების ამამაღლებელი გრძნობის ჩასახვა.

თუ გამეორების გამო არ დავიძრახები, კიდევ ერთხელ დავწერ: როსტომ ჩხეიძის ამ ესსემ გამიჩინა სურვილი მის მიერ წამოწყებული საუბარი გავაგრძელო — სხვა კუთხითაც დავინახო ეს ეპიზოდი ამ დიადი წიგნისა.

„ბერეშითი“ — „დაბადება“ ხუთწიგნეულის პირველი წიგნია. იგი გვამცნობს სამყაროს შექმნის ამბავს: „ბერეშით ბარა ელოჰიმ ეთ აშამაიმ ვეეთ ჰაარეც“. „თავდაპირველად ღმერთმა განსახა ცა და დედამიწა“. ამას მოსდევს კაცობრიობისათვის კარგად ნაცნობი პასაჟები სამყაროს ექვს დღეში შექმნისა, ადამისა და ხავას (ევას), აბელისა და კაენის, ნოახის (ნოეს), თუ სხვათა და სხვათა ცხოვრებისა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. იაკობისა და რახელის ურთიერთობა მოსდევს პატრიარქ იცხაკის (ისააკის) და რიბკას შეუღლების პასაჟს: პატრიარქი აბრაამი თავის ქვეყანაში—ივრს გაღმა გზავნის მორჩილს, რომელსაც ისაკისთვის საცოლედ მოჰყავს რიბკა.

აქ მინდა მკითხველს შევთავაზო ერთი ვარაუდი: „თანახში“ იაკობისა და რახელის პასაჟში პირველად გამოჩნდება სიყვარულის თემა. მართალია, იცხაკსა (ისაკსა) და რიბკასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „და შეიყვანა იცხაკმა იგი (რიბკა. გ.ბ.) თავისი დედის სარას კარავში და შეირთო ცოლად. შეუყვარდა ის იცხაკს და ნუგეში ეცა თავისი დედის გარდაცვალების შემდეგ“, მაგრამ აქ სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. აქ სიტყვა „შეუყვარდა“ სულ სხვა დატვირთვის მატარებელი უნდა იყოს, ვიდრე იაკობთან მიმართებაში—ყურადღება მივაქციოთ ქმედებათა თანმიმდევრობას: ჯერ შეირთო ცოლად, შემდეგ შეუყვარდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ შეუყვარდა შეჩვევას, შეთვისებას, ღირსეულ თანაცხოვრებას უფრო ნიშნავს, ვიდრე სიყვარულის კლასიკურ გაგებას. იაკობისა და რახელის ურთიერთობაში კი საუბარია ამაღლებული სიყვარულის გრძნობაზე, რომლის გამოც ადამიანი მსხვერპლსაც გაიღებს. ამ პასაჟის მნიშვნელობას, დედააზრს მოგვიანებით იოსებისა და ბენიამინის პიროვნულ თვისებებში, ბიოგრაფიაში დავინახავთ.

וַיֹּאמֶר יוֹסֵף אֶל אֶחָיו אֲנִי יוֹסֵף (בר׳ מה, ג)

უთხრა იოსებმა თავის ძმებს: იოსები ვარ. (დაბ. 45 – 3).

„შეუყვარდა იაკობს რახელი და უთხრა (ლაბანს) შვიდ წელიწადს გემსახურები რახელისთვის, შენი უმცროსი ასულისთვის“. შემდეგ: „და მსახურობდა იაკობი რახელისათვის შვიდ წელიწადს და იყო მის თვალში (ეს დრო) რამდენიმე დღისამებრ მისადმი სიყვარულის გამო“. ე.ი. იმის გამო, რომ იაკობს რახელი უყვარდა, შვიდმა წელიწადმა ისე გაირბინა, ვითარ რამდენიმე დღემაო.

ასე რომ კედემის ძეთა ქვეყანაში იშვა ის, რაც კაცობრიობის სიკეთის სათავედ იქცევა—სიყვარული.

რას მიგვანიშნებს ამით „თანახი“? სად იჩენს თავს სიყვარულის ძალა, რაგვარ ნაყოფს იძლევა სიყვარული?

მივყვეთ იაკობის ცხოვრების დღეებს:

ლაბანმა იაკობს რახელის ნაცვლად ლეა „ჩაუგორა ლოგინში“. იაკობი ლაბანს შესჩივლებს: „ეს რა მიყავი? განა, რახელისთვის არ გემსახურებოდი? რად მომატყუე?“

ლაბანის პიროვნების მიმართ გამოკვეთილად ნეგატიური დამოკიდებულების გაქარწყლებას კიდეც შევეცადო, ამაოდ დავშვრები. ეს არც მწადია, ის კი მინდა, მკითხველს ერთი ასეთი მოსაზრება შევთავაზო: არა ვგონებ, რახელის ლეათი ჩანაცვლება ლაბანის მზაკვრობის დასტურად გამოდგეს. ლაბანი პრაგმატიკოსია, მან კარგად შეისწავლა იაკობის ბუნება და ისიც კი გამოიანგარიშა, თუ რა ნაბიჯს გადადგამს ხვალ იაკობი. გავიხსენოთ, რა უთხრა მან იაკობს: „უკეთესია შენ მოგცე იგი, ვიდრე მივცე ის სხვას. დამკვიდრდი ჩემთან“. იაკობი სასურველი სასიძოა, ამიტომ ლაბანმა შეგნებულად გადადგა ასეთი ნაბიჯი—თითქმის დარწმუნებული იყო, რომ იაკობი რახელს არ დასთმობდა. მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ლაბანმა ივარაუდა. ე.ი. მას მიაჩნია, რომ ორივე ქალიშვილის ბედი გონივრულად გადაწყვიტა.

მივუახლოვდით იმ საკითხს, რომელმაც ეს წერილი დამაწერინა.

ჩნდება შვილები ლეასთან, იაკობს კი ლეა არ უყვარდა. მოტყუებული, გაცურებული იაკობი კიდევ შვიდ წელს ემსახურება ლაბანს, ოღონდაც რახელი თავისად იგულვოს. შვიდი წლის მოჯამაგირეობა — დიდი საზღაურია (თუ არ მოვიხმობთ სიტყვას— მსხვერპლია) ძალიან დიდი, მაგრამ იმის გამო, რომ უყვარს, იმის გამო, რომ სიყვარულით გახლავთ ანთებული, ეს შვიდი წელი დღეებად უჩანს.

მაგრამ იმარჯვებს არა მხოლოდ ლაბანის პრაგმატიზმი, იაკობის სიყვარულიც. იაკობი რახელს შეირთავს. თითქოს „გასრულდა ესე ამბავი“, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ასე არ არის. ეს რომ ასე იყოს, „თანახი“ ამბავთა წიგნი იქნებოდა და არა დიად შეგონებათა. ამ წიგნის სიბრძნე სწორედ იმაშია, თუ რა გაკვეთილს გვაძლევს, რა აზრებს ჩაგვაგონებს: რას ნიშნავს სიყვარული, რა არის იგი, რატომ „აღგვამაღლებს?“

იაკობს ლეასგან შეეძინა: რეუბენი, შიმონი, ლევი, იეჰუდა, ისახარი, ზებულონი. რახელისგან: ბენიამინი და იოსები, რახელის მხევალ — ბილჰასაგან: დანი, ნაფთალი, ლეას მხევალი ქალის ზილფასაგან — გადი და აშერი.

როსტომ ჩხეიძე სწორედ თანახზე დაყრდნობით, სამართლიანად წერს, რომ იაკობს რახელისაგან შეძენილი შვილები უფრო უყვარს, ვიდრე უსიყვარულობის ნაყოფი — ლეას მიერ მოგვრილი შვილები: „თუმც მაინც ისე მოხდებოდა, რომ ყველაზე ძალიან რახელთან შეძენილი შვილები ეყვარებოდა — იოსები და ბენიამინი — ვიდრე ლეასთან შობილი. მაგრამ ეს ყოველივე მაინც სხვა განსჯის თემაა“. მეც სწორედ ამ სხვა განსჯასთანა ვარ, სხვა განსჯით მომდინარე აზრი მინდა შევთავაზო მკითხველს და იგი, ისევე როგორც როსტომ ჩხეიძის კვლევა, არ ეყრდნობა თანახის რელიგიურ კომენტატორთა თეზას, ეს არის მწერლის დაკვირვება და ვარაუდი:

ამ პასაჟით — უსიყვარულოდ და სიყვარულით გაჩენილი შვილების სულიერების წარმოჩენით „თანახი“ გვაჩვენებს, თუ როგორია ცხოვრების გზა, სულიერება სიყვარულით შობილი ადამიანებისა და როგორი — უსიყვარულოდ შობილებისა. ამ შემთხვევაში თანახი გვაჩვენებს ორ გზას, ორ მიმართულებას კაცთა ცხოვრებისა — გზა ლეასაგან, მხევალ ქალთაგან შეძენილი იაკობის შვილებისა და გზა სიყვარულით შობილი იოსებისა და ბენიამინისა. სიყვარულით შობილნი თითქოს თავიდანვე არიან „განწირულნი“ სიკეთის ქმნისათვის. ლეასა და მხევალთაგან შობილნი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ყველა იმ სიკეთისა, თუ მანკიერების მატარებელნი, რომელიც დამახასიათებელია ქვეყნად მოვლენილთა უმეტესობისათვის. არა-რა განსაკუთრებული ნიშნის მატარებელნი ისინი არ გახლავან. შური, მომხვეჭელობა, სიდუხჭირესთან, მოუსავლიანობასთან ბრძოლა ისევე ახასიათებთ, როგორც მრავალთა და მრავალთ.

ვ ა ი ვ ა ს

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
მთავარი რაბინის მ.შ.
აბიმელეხ როზენბლატი

როდესაც თორა მსხვერპლის შეწირვაზე საუბრობს, ტექსტიდან შეიძლება გავიგოთ, რომ მსხვერპლი საკუთარივ უნდა შევწიროთ, ანუ თავიც უნდა მივიტანოთ მსხვერპლად. და როგორაა შესაძლებელი ამის გაკეთება? იგულისხმება, რომ ადამიანმა გამ-ნს უნდა შესწიროს საკუთარი დროიდან, ჩვევების შეცვლის ფასად უნდა გამოყოს დრო თორის სასწავლებლად, გამ-ნისადმი სამსახურისათვის. მასზეა ნათქვამი: „ ჯილდო —წვალების მიხედვით“. ამიტომ ადამიანის გამ-ნისადმი მსახურება განისაზღვრება არა იმდენად მიცვების რაოდენობით, რამდენადაც მათი შესრულების ხარისხით და იმ ძალისხმევით, რაც მასში იყო ჩადებული. ეს მთაზე ასვლას გავს: თუ ადამიანს უჭირს, მაშინ ის ადის მთაზე, ხოლო თუ მისთვის ადვილია – მაშინ ეს დაბლა დაშვების ნათელი ნიშანია. რატომ უწოდებენ სინას მთას ხორევს? იმიტომ, რომ სამყაროში იქიდან მოვიდა ნგრევა. კერძოდ, თუ ებრაელები თორის შესწავლას წყვეტენ, ისინი ანადგურებენ საკუთარ თავს. ჩვენ ვხედავთ, რომ ებრაელი და თორა ერთმანეთისაგან განუყოფელნი არიან. ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა თორის სწავლას განსაზღვრული დრო უნდა დაუთმოს.

კვირის საკითხავ თავში ნათქვამია: „... ფესახი უნდა იყოს შეჭმული ღამით“. ეს წინადადება ასეც შეგვიძლია ავხსნათ: სიტყვა „ფესახ“ ორი სიტყვისაგან შედგება „ფე“- პირი და „სახ“ – საუბარი. ხოლო „შეჭმა“ ნიშნავს სრულად გამოვიყენოთ დანიშნულებისამებრ, შევუშვებთ რა ჩვენში. გამოდის, ფასუქს ასე ვკითხულობთ: „მოსაუბრე პირმა (თორის სწავლა ხმამაღლა ხდება) გასაგებად და ნათლად უნდა ახსნას ყველაფერი ისე, რომ თორა ჩვენი სულის ნაწილად იქცეს“. რატომ ღამე? პირველ რიგში, ეს სასწავლად საუკეთესო პერიოდია. მეორეს მხრივ, ღამეში იგულისხმება გალუთი, ტანჯვა. ანუ თორა ჩვენი გადარჩენაა მძიმე პერიოდში. თორა გვიცავს ჩვენ. ამიტომ, გემარა, ზეპირი თორის ის ნაწილი, რომელსაც ებრაელები განუწყვეტლივ სწავლობენ, ოთხი ასოსაგან შედგება: „გიმელ“, „მემ“, „რეიშ“ და „ალეფ“. „გიმელ“ - გაბრიელ, „მემ“ – მიხაელ, „რეიშ“ – რაფაელ და „ალეფ“ – ურიელ. ანუ, როდესაც ებრაელები გემარას სწავლობენ, მათ გამ-ნის ანგელოზები იცავენ.

თორაში ნათქვამია: „ამ დღეს მივიდნენ სინას მთასთან“. რატომ „ამ დღეს“? რაში გვიხსნის, რომ ჩვენ ყოველთვის უნდა ვგრძნობდეთ თავს ისე, თითქოს ეხლა მივედით სინას მთასთან თორის მისაღებად.

ერთ პატარა ქალაქში თორის ახალი გრაგნილის წერა დასასრულს უახლოვდებოდა. ამ მოვლენის საპატივცემლოდ ქალებმა გადაწყვიტეს სეფერ თორის კაბის შეკერვა. მაგრამ გაჩნდა პრობლემა. საჭირო იყო მხოლოდ ერთი კაბა. მის გადასაჭრელად ქალაქის რაბინმა ქალებს შორის კონკურსი გამოაცხადა. სპეციალურ კომისიას უნდა გამოევლინა გამარჯვებული. აი, დადგა გამოცდის დღეც. ყველა ქალმა მოიტანა თავისი ნამუშევარი და კომისიამ საუკეთესო ნამუშევარიც გამოავლინა. მაგრამ, როდესაც სეფერ თორას მოაზომეს, აღმოჩნდა, რომ ის მოკლე იყო. მისი შემკერავი ძალიან დაღონდა, ცდილობდა კაბის გაწელვას სიგრძესა თუ სიგანეში, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. უცბად სახე გაებადრა და წამოიძახა: „ვიცი რაც უნდა გავაკეთო. თორა უნდა შემოვჭრათ კაბის ზომაზე“. უთხრა მას რაბინმა: გამ-ნმა ნუ ქნას. საჭიროა, რომ კაბა შეესაბამებოდეს თორას და არა პირიქით – თორა კაბას“.

შეუძლებელია თორისა და მისი მცნებების შეცვლა. ისინი, ისევე როგორც გამჩენი, ნებისმიერ დროს შეეფარდებიან. სინამდვილეში ჩვენ არ შევესაბამებით მას და ამიტომაც გვსურს შემოვჭრათ ის, რაც „ზედმეტად“ გვეჩვენება. სიტყვა „კორბან“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ლეჰაკრივ“, „ლეჰითკარევ“, რაც მიახლოვებას, გამ-თან დაახლოვებას ნიშნავს. ეს პროცესი კი მუდმივია.

თბილისის ებრაული სკოლა – სწავლა გრძელდება

თბილისში ხმა დაირხა, რომ ებრაულ სკოლას გაუჩნდა პრობლემები, რის გამოც სკოლაში სწავლა შეჩერებულია. ამასთან დაკავშირებით „მენორას“ კორესპონდენტი გაესაუბრა საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელს, სკოლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ავიმელეხ როზენბლატს.

— რაბი ავიმელეხ, გვითხარით, რა მდგომარეობაა სადღეისოდ სკოლაში?

— სკოლა რაბ არიელ ლევინმა დაარსა და უკვე 20 წელია, რაც არსებობს. ამ პერიოდის განმავლობაში ძალიან ბევრი ბავშვი აღიზარდა. ბევრი მათგანი წარმატებული სასულიერო პირია და წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში — იქნება ეს ისრაელი, ამერიკა, თუ ევროპის ქვეყნები. სკოლის სპეციფიკა შემდეგში მდგომარეობს: აქ ბავშვებს თავისი ქვეყნის, ენის სიუვარულს ასწავლიან. ასწავლიან, თუ როგორ უნდა ილოცონ და აღნიშნონ დღესასწაულები. სკოლა თბილისში მდებარეობს, თუმცა, თბილისელი ბავშვების გარდა, რუსთაველებიც დადიან. სკოლაში დღეს 52 ბავშვი სწავლობს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ყველა სკოლამ სპეციალური აკრედიტაცია უნდა გაიაროს, რა საკითხზეც ახლა აქტიურად ვმუშაობთ. გვქონდა პრობლემა და კვლავაც გვაქვს ფინანსების თვალსაზრისით — აკრედიტაციისას სკოლამ უნდა გადაიხადოს რამდენიმე ათასი ლარი. გადაუხდელობის გამო სკოლაში მეცადინეობა შეწყვეტილი იო. რაბი არიელ ლევინის, ჩვენი დიდი მეცადინეობით ამჟამად სასწავლო პროცესი აღვადგინეთ — ბავშვები სასკოლო მერხებს მიუსხდნენ. იმედი გვაქვს, ეს პროცესი მალე დასრულდება.

ასე რომ, საქმე უკეთესობისკენაა — სწავლის პროცესი ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

თბილისის ებრაული სკოლა არ უნდა დაიხუროს. ეს ეროვნული ჩვენგანის გასაკეთებელი საქმეა.

აი, სიყვარულის შვილები: ბენიამინი და იოსები სხვა ნიშნით გახლავთ აღბეჭდილი. ბენიამინი კეთილია, ძმაზე მზრუნველი, მოსიყვარულე. კარლ გუცკოვის ურიელ აკოსტას ამონაკვნესი „რისთვის გაყიდეს ძმებმა იოსები უდაბნოში“ მას არ ეხება, იგი ამ საქმეში არ გარეულა. „თანახმა“ მას — სიყვარულით შობილს — ეს ცოდვა აარიდა.

იოსები პატიოსანი კაცია, პატიოსანი და მიამიტი. ასე რომ არ იყოს, ძმებს მეორე სიზმარს აღარ უამბობდა. პირველი სიზმრის თხრობის შედეგად ძმების რეაქციის მეოხებით — როგორ აითვალისწუნეს უსიყვარულოდ შობილმა ადამიანებმა — უნდა გაეცნობიერებინა, მათი სულიერი საწყაო. რა ბრალი აქვს იოსებს? მისი „ბრალეულობის“ განმაპირობებელი მისივე ნიჭია — ეს მიამიტი კაცი განსაკუთრებული ნიჭით გახლავთ დაჯილდოებული. ამითაც განასხვავა ზენაარმა უსიყვარულოდ შობილთაგან. განსაკუთრებული ნიჭით შობილნი კი თითო-ოროლა, ისიც შორეულ კაცს თუ უყვარს. იოსებს რომ ეშმაკობის, ცბიერი კაცის გზა აერჩია, თავის განსაკუთრებულ ნიჭს ძმებთან მეორედ აღარ წარმოაჩენდა, დაფარავდა— მეორე სიზმარს აღარ უამბობდა. მამაც კი აუხირდა. ამ ახირების მიზეზი ის გახლავთ, რომ იაკობი გრძნობს, თუ რაოდენ ამხედრებულნი არიან ძმები იოსებზე და ცდილობს ნაბოლარა ძე — მისი ნიჭიერების „დამიწების“, დამცრობის გზით ხიფათს აარიდოს.

ძმები ჯერ ხაროში ჩააგდებენ იოსებს, შემდეგ კი იშმაელიანებს ოც ვერცხლად მონად მიჰყიდიან.

ასეთია არასასურველი ქალისაგან უსიყვარულოდ შობილთა - ჩვეულებრივ ადამიანთა — ზნეობრიობა. ამით „თანახი“ კიდევ ერთ შეფასებას აძლევს ადამიანთა სანუკვარ გრძნობას — სიყვარულს.

მაგრამ იაკობის ლეასა თუ მხევალ ქალთაგან შობილ შვილთა ზნეობრიობა ერთი მხარეა კაცობრიობის მოდგმისა. არსებობს მეორე მხარე — სიყვარულით შობილთა ზნეობრიობა. ეს არის იოსების გზა — პატიოსანი, სიკეთით გასხივოსნებული კაცის ცხოვრების მრწამსი.

იოსების ბიოგრაფია ვიცით: ხაროში ჩაგდება, იშმაელიანთა მონობა, პოტიფარის კარზე ამაღლება, საპყრობილე, სახელმწიფოს ლამის პირველი კაცობა — ცხადია, ხელმწიფის შემდეგ.

და ერთ მშვენიერ დღეს ძმები, რომლებმაც ხაროში ჩააგდეს, მერე კი იშმაელიანთ მონად მიჰყიდეს, მთხოვნელად მიადგნენ კარს. მთხოვნელად არა რაიმე ნივთისა, არა ფუფუნების საგნისა— მათი თხოვნის დაკმაყოფილება სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასია. იოსებს შეუძლია მათი მუდარა არ შეიწყნაროს. ეს კი უსიყვარულოდ შობილთა სიცოცხლის დასრულების მაუწყია.

მაგრამ იოსები კაცობრიობის იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელიც სიყვარულმა მოავლინა ცისქვეშეთში. იგი სიყვარულმა მოიყვანა ამქვეყნად. სიყვარულის ნაყოფი კი კეთილშობილია. იგი სიკეთეს თესავს, სიკეთეს ელტვის — არა მხოლოდ თხოვნას შეიწყნარებს, ბედნიერებასაც ანიჭებს უსიყვარულოდ შობილთ — სიცოცხლეა ბედნიერება.

ასეთნი არიან სიყვარულით შობილნი და ჩვეულებრივი ადამიანები. ასეთ გრადაციაში აჰყავს სიყვარული „თანახს“. ალბათ, არც ის დაგვიწყნია, რომ იაკობის თორმეტი ძე გახდა მამამთავარი ისრაელის თორმეტი შტოისა. თუ ეს ფაქტი, სიყვარულით და უსიყვარულოდ შობილთა ასეთი თანაფარდობა იქცევა (და რატომ არ უნდა იქცეს!) ადამიანთა რაობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, დავინახავთ, სამყაროში თუ რა შეფარდებაა ჩვეულებრივ და სიყვარულით შობილ, ე.ი ჩვეულებრივ მოკვდავთა და სიყვარულით გასხივოსნებულ ადამიანთა შორის.

ასე, ამ წესით მოედინება კაცთა ყოფა ამ ცის ქვეშეთში—ეს არის სიყვარულის ნაყოფის ცხოვრებისეული მრწამსი.

უკვე ითქვა, რომ „თანახში“ შემთხვევით ერთი სიტყვაც კი არ არის. იაკობისა და რახელის პასაჟი ჩაგვაგონებს, თუ როგორია სიყვარული, რა ძალა აქვს მას. ისიც ითქვა, რომ ლეას, მხევალ ქალთაგან და რახელის მიერ მოგვრილი შვილების ცხოვრება, მოქმედება არის ორი გზა კაცობრიობისა. „თანახმა“ კაცობრიობას ჯერჯერობით მხოლოდ დაუსურათხატა ორი გზის რაობა. სიყვარულის მთავარ მოთხოვნილებად ფორმულირება, რჯულის კანონად ქცევა, მოგვიანებით მოხდება — მაშინ, როცა ეგვიპტის მონობიდან თავდახსნილი ებრაელობა უდაბნოს გზით თავისუფლებისაკენ მიდის. სინაის მთაზე უზენაესი მოსეს რწმენის დაფაზე შანთით ამოკვეთს ათ მცნებას. ამათგან ერთი უზარმაზარ, ზოგისთვის შეუძლო, ძნელად მისაღწევ, ზოგისთვის კი სასიცოცხლო მოთხოვნილებად ქცეულ დავალებას აძლევს კაცობრიობას. ეს დავალება სიყვარულს ღაღადებს.

„ლიტერატურული გაზეთი“,
№67,3-16 თებერვალი

მდიდარი ებრაელი

უილიამ ფოლკნერი

ნიუ ორლეანის სკეჩებიდან



„სამი რამ მიყვარს: ოქრო, მარმარილო და ძოწეული; ბრწყინვალება, სიმდიდრე, ფერი“. აღმოსავლეთში დაირწა ადამიანთა მოდგმის აკვანი. იქიდან წამოვიდა აქაფებული ტალღა ბედისწერისა და დედამიწის პირს აბობოქრებული მოედო. დაე, იმძვინვაროს ბედისწერის ამ ტალღამ. ჩემმა ერმა გადალახა ეს ბედისწერა. ჩემი ერი, შესაძლოა განუსჯელად, მაგრამ მუდამ მამაცურად გაჰყოლია ისტორიის ტალღებს, ისევე, როგორც ჩემი ძველი ფინიკელი წინაპრები, რომლებიც არ ეპუებოდნენ და სავაჭრო ორჩხომელებით გადიოდნენ ჯერ კიდევ რუკაზე აღუნიშნავ ზღაპრულ ზღვებში და ეძებდნენ იმას, რაც მეც მიყვარს. მზე ამოდის და ჩადის; კაცობრიობის ეპოქები იბადებიან, განიცდიან სიხარულს, იბრძვიან, სტირიან და ქრებიან. დაე, ასე იყოს: ღმერთის წინაშე მეც მხოლოდ სველი მიწის კოშტი ვარ. თუმცა ბებერი, მაგრამ ჩემს გულში მოქცეულია ადამის მოდგმის ყოველგვარი ტკივილი, ვნება და მწუხარება; ჩემშია სიხარული, რომელიც სულს აღანთებს, და მწუხარება, რომელიც სულს ამოსწვავს.

მაგრამ მე მწვავე ფერფლი ვარ, რომლიდანაც ჩემი სიამოვნებისა და ტკივილის მემკვიდრენი ფენიქსის მსგავსად აღმოცენდებიან, რადგან ჩემი სისხლი ძველია, მაგრამ გამძლე. ო, თქვენ შერეულო ერებო, თქვენი ფერშეცვლილი გაწყალებული და დაკარგული სისხლით; თქვენი ოცნებით, რომელიც შელახულა და უმიზნო გამხდარა. თქვენ ისიც კი არ იცით, რას ესწრაფით! ჩემმა ხალხმა თქვენ შემოგთავაზათ ოცნება მშვიდობისა, რომელიც ვერ აღიქვით და სირიის უნაყოფო უდაბნომ შეინოვა თქვენი ჭაბუკების სისხლი; მე გადმოგიგდეთ ოქროს ფული და თქვენ კი ამით სიკვდილის იყიდეთ აჰენობარბუსის* ბაღებში. თქვენი ბედისწერა ჩემი ხალხის ხელიდან მიიღეთ და თქვენი და ჩვენი შვილები ერთად იწვნენ პაშენდელის ტალახში,* ახლაც სძინავთ მათ ერთმანეთის გვერდით უცხო მიწის ქვეშ. უცხო? რომელი მიწაა ჩემთვის უცხო? თქვენი ალექსანდრეები, კეისრები და ნაპოლეონები იბადებიან სისხლსა და ოქროში; ისინი გაჰკივიან სამშობლოზე, მაგრამ ხანმოკლეა მათი ყიჟინა. შემდეგ კვდებიან, როგორც ტალღები, რომლებიც სისინით იკლაკნებიან ნაპირზე და ქრებიან. არც ერთი მიწა არ არის უცხო ჩემი ხალხისათვის, რადგან განა ყველა ქვეყანა ჩვენ არ დავიპყარით ჩვენი ქრისტიანობის იგავით? ბედისწერის აქაფებული ტალღები გვერდს მივლიან. დაე ჩამიარონ! ჩემი ხალხი ტალღების თხემზე მოექცევა და შესაძლოა ამ ტალღებმა ისე გასტყორცნონ, როგორც საყვირთა ხმები იტყორცნება ცივ ვარსკვლავეთში. „სამი რამ მიყვარს: ოქრო, მარმარილო და ძოწეული; ბრწყინვალება, სიმტკიცე, ფერი“.

ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზაალიშვილმა

***ლუციუს დომიტიუს აჰენომარმუსი (დაიბადა 98 წ. და გარდაიცვალა 48 წ. ქრისტეშობამდე. ოპტიმატების (კონსერვატიული სერატორიალის არისტოკრატის) ბელადი. იბრძოდა იულიუს კეისრის, პომპეუსისა და მარკუს კრასუსის (ე.წ. ტრიუმვირატის) წინააღმდეგ. დამარცხდა ფასალუსში.**
***პაშანდელის ბრძოლა 1917 წელს ე.წ. ტალახის ბრძოლა.**

ბათუმი — აშდოდი დაძმობილებული ქალაქები

28 თებერვალს ორი ქალაქის — აშდოდის და ბათუმის მერებმა აშდოდში, ისრაელში საქართველოს ელჩის თანდასწრებით, დაიწყეს ახალი ფურცელი ქართულ-ებრაულ ისტორიაში — ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ ტურიზმის, კულტურის, სპორტის, ეკონომიკის, ჯანდაცვის სფეროებში თანამშრომლობაზე.

ქართველები ცნობილნი არიან თავისი ნაციონალური ფესვებით, ოჯახური ტრადიციებითა და კულტურით. სადღესასწაულო ღონისძიებას აშდოდის ქართული სათემოების წარმომადგენლები დაესწრნენ, რომელიც სუფთა ქართულად ჩატარდა: ქართულად მღეროდნენ და საუბრობდნენ, ცეკვავდნენ ქართულ ნაციონალურ ცეკვებს.

აშდოდის მერმა — იხეილ ლასრმა, ქართული დელეგაციის მიღებისას, აღნიშნა, რომ ორ უძველეს ქალაქს ისტორიაში საერთო ფურცლები აქვს და ისტორიულად ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა შესაძლებელია. მან ისაუბრა ქართველების დიდ წვლილზე აშდოდის ცხოვრებაში, ისაუბრა აშდოდის ქართული სათემოების მეთაურის პირად მონაწილეობაზე ბევრ მუნიციპალურ პროექტში. აშდოდში შეიქმნება ქართველი ებრაელების კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ცენტრი — მსგავსი ერთადერთი მსოფლიოში. ამის შესახებ ასევე ისაუბრა აშდოდის, ქალაქის საბჭოს დეპუტატმა — მოშე ბუთრაშვილმა.

ბათუმი — სიდიდით მესამეა საქართველოს ქალაქებს შორის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, ქვეყნის უმსხვილესი საზღვაო, ტურისტული ცენტრია. ცერემონიაზე იგი დეტალურად წარმოადგინა ბათუმის მერმა რობერტ ჩხეიძემ. ორ ქალაქს აკავშირებს, პირველ რიგში, ზღვის თემა, პორტები და ტურიზმი. ისრაელში საქართველოს ელჩმა არჩილ კეკელიამ აღნიშნა, რომ ისრაელში მისთვის ეს პირველი ღონისძიებაა და იგი მოხარულია, რომ მიიღო მონაწილეობა ისეთ შესანიშნავ მოვლენაში, როგორიცაა ორ ქალაქს შორის მეგობრული ურთიერთობის დაწყება. მან განაცხადა, რომ ბათუმი ახლა ეკონომიურ აღმასვლას განიცდის, განსაკუთრებით ეს ტურისტულ მიმართულებას ეხება. ახალი სასტუმროების და თანამედროვე ატრაქციონების მშენებლობასთან ერთად ბათუმი მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტული ცენტრი გახდება.

იუდეისა და სამარიის სამხედრო პროკურორი: ჟანა მოძღვრიშვილი

— 8 მარტს არ აღვნიშნავ, მინდა, რომ ეს იყოს მთელი ოჯახის და არა „გათავისუფლებული ქალების“ დღესასწაული, როგორც საბჭოთა კავშირში იყო. ამ დღეს დედაჩემიც არ აღნიშნავს“ — განუცხადა „იზრუსს“ ცახალის ისტორიაში პირველმა ქალმა, რომელმაც იუდეასა და სამარიაში სამხედრო პროკურორის პოსტი დაიკავა — პოლკოვნიკმა — ჟანა მოძღვრიშვილმა.

ჟანა ქუთაისში დაიბადა, თუმცა ძალიან კარგად საუბრობს რუსულ ენაზე, ამასთან ერთად, შეინარჩუნა ქართული ენაც, რომელსაც ივრითი, ინგლისური, არაბული და ფრანგულიც დაუმატა.

ისრაელში მშობლებთან ერთად 1973 წელს 4 წლის ასაკში ამოვედი. მანამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდით. აქ ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს არა აშდოდში დასახლება, სადაც ქართველების დიდი სათემო იყო, არამედ პატარა ქალაქში, სადაც ერთადერთი საქართველოდან ჩასულები ვიყავით. მაგრამ მშობლები დაჟინებით მთხოვდნენ, რომ ქართული ენა კარგად მცოდნოდა. ეს ჩემი, როგორც ისრაელელის, იდენტობის ნაწილი, ჩემი ფესვებია, —თქვა მოძღვრიშვილმა, თან დასძინა, რომ მის თანამშრომლებს მისი გვარის წარმოთქმა უძნელდებათ.

პროკურორის სიტყვებით, საბჭოურმა წარმომავლობამ ისრაელში ადაპტაციისას მასზე დიდი გავლენა იქონია, განსაკუთრებით კი სკოლის ასაკში. „სწავლა ახალი დაწყებული მქონდა, როდესაც მასწავლებელმა ჩემს მშობლებს შესჩივლა, რომ გაკვეთილებზე ბევრს ვლაპარაკობდი და უყურადღებოდ ვიყავი. ჩემმა მშობლებმა გაარკვიეს თუ რაში იყო საქმე და მიხვდნენ, რომ მე უბრალოდ მოვიწყინე. იმ პერიოდში უკვე ვიცოდი კითხვა, წერა და თვლა, როგორც საბჭოთა კავშირში იყო მიღებული, ჩემი თანატოლები კი ჯერ მხოლოდ სწავლობდნენ — უამბო მოძღვრიშვილმა IzRus-ს.

ბოლო კლასში მან მშობლებს ორი სიურპრიზი მოუწყო: განაცხადა, რომ სურდა ჯარში ემსახურა (იმ დროს საქართველოს ებრაელების სათემოების გოგონებისთვის ეს არ იყო დამახასიათებელი), შემდეგ კი „დააწყნარა“, როდესაც განუცხადა, რომ ჯერ უმაღლესი იურიდიული განათლების მიღება სურდა. „მათთვის ეს შოკი იყო, დედაჩემს მათემატიკურ მეცნიერებებში მაგისტრატურა აქვს დამთავრებული, მამა კი — პედაგოგია, შესანიშნავად თამაშობს ჭადრაკს. ბუნებრივია, უნდოდათ, რომ ზუსტი მეცნიერებები შემესწავლა. მაგრამ იურისპრუდენცია ავირჩიე და მათ ჩემი გადარწმუნება ვერ შეძლეს“ — აღნიშნა მოძღვრიშვილმა.

მოგვიანებით, სამხედრო პროკურორების მოსამზადებელ კურსებზე ვსწავლობდი, რომლებსაც იუდეასა და სამარიაში სამუშაოდ ამზადებდნენ. არასოდეს გამისვამს ხაზი ჩემი წარმომავლობისათვის, არც იმისთვის, რომ ქალი ვარ. ოფიცერი ვარ, ჩემს სამუშაოს ვასრულებ, მზად ვარ „ცხელ წერტილებში“ სამუშაოდ — მორჩა და გათავდა. ჯარში წინ წასაწევად მეტი არაფერია საჭირო, — თვლის იგი.

თავისი კარიერის მანძილზე მისი ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმე იყო — ფოგელების ოჯახის ხუთი წევრის სასტიკი მკვლელობის გამოძიება, დანაშაული პალესტინელებმა ითამარის დასახლებაში შარშან მარტში ჩაიდინეს. „დეტალებზე საუბარი არ შემიძლია, არანაირ სამუშაო გამოცდილებას, ყველაზე საშინელსაც კი, არ შეეძლო ჩემი ასეთი ამბავისთვის შემზადება. ეს სასტიკი დანაშაულია, რომლის დეტალებშიც გარკვევა მომიხდა. ამის დავიწყებას ვერასოდეს შევძლებ. თუმცა სწორედ ეს საქმე მამხნევებს, რომ მართლმსაჯულებით ვიყო დაკავებული“, - დაასკვნა იუდეისა და სამარიის სამხედრო პროკურორმა ჟანა მოძღვრიშვილმა.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003